შაბათი, 11 დეკემბ. 1907 წ.

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარეთ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 2 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღევის 4 საათამდე.

# ისარი

წელიწადი პირველი №—273

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

12 დეკემბერს, განსვენებულ

ლუკა ზაქარიას ძის მოსულიშვილის

გარდაცვალების მეორე დღეს, სიღნაღ-ნუკრიანში წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ელისაბედ ირაკლის ასული მოსულიშვილისა შვილებითურთ. (1—491—1)

პარასკევს, დეკემბრის 21-ს,

ტფილისის სობრანიეს დარბაზში

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება წარმოდგენა

I

გ ა ყ რ ა

კომ. გ. ერისთავისა. წარმო. იქნება პირველი მოქმ.

II

მე მინდა ქნეინა გავხდე

კომ. ზ. ანტონოვისა, პირველი მოქმედება.

III

ბიძიასთან გამოხუმრება

კომ. ვოდევილი რ. ერისთავისა.

IV

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.

კომ. ავ. ცაგარლისი, წარმ. იქნება მეორე მოქ.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი მ. საფაროვ-აბაშიძისა და დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტები, ბ-ნ ვ. აბაშიძის რეჟისორობით.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული

ც ე კ ვ ა

დარბაზში დაუკრავს საზანდარი და სამხედრო მუსიკის ორკესტრი.
ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში. (5—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.

შაბათს, 11 დეკემბერს, ვინჩ. კოპპოლას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„ბ ა ლ-მ ა ს კ ა რ ა დ ი“.

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი კორსაკოვა, ლიუბინსკაია, მარკოვა, ტურჩანინოვა; ბ-ნნი აკიმოვი, გრინევი, კოპპოლა, დე-რობერტი, პავლოვსკი, პრავდინი და სხვ.

კაპელმეისტერი: გოლინკინი. დასაწყისი 8 საათზე.

ანონსი: 12 დეკემბერს—უკანასკნელი გასტროლი ოლ. ბორონატისა. წარმ. იქნება „ტრავიატა“. ფასები მომატებულია. 13 დეკემბერს პირველად «ასე სთქვა მეფემ». (0—18)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.



11 დეკემბერს, 1907 წელს, იუმორისტიული საღამო სამის განყოფილებით. საღამო სიცილისა და გართობისა. მონაწილეობას იღებენ ცნობილი არტისტები, კომიკები, კლოუნები, საუკეთესო ცხენოსანნი და აკრობატები. ჰაერში ფრენა. დასასრულ „ჯარში გაყვანა საფრანგეთში“ კომიკური სცენა ლაპარაკით. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში.
(1—490—1) დირექტორი აკიმ ნიკიტინი.

გამოვიდა და იყიდება

დამდეგი 1908 წლის

დროების კალენდარი

ფასი 35 კაპ.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 50 ცალისა, იმას დაეთმობა 20% დაკლებით.
მისამართი: ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, სტამბა «იდეალი», ზაქარია ჭიჭინაძეს.

თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. „მირისა“ ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—18)

ბავშვთა იაფ-ფასიანი და უპატრონო-ყოფილ აღზრდა-განათლების სამზრუნველოს სასარგებლოდ გიმართული იქნება კვირას, 16 დეკემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში

დიდი სეირნობა

ლატარია-ალეგრით.

საშობაო დიდი ფერხული: „ყინვას პაპა“, ანგელოზები, მტრედები, პეიზანები, პეიზაკები, კლოუნები, ალქაჯები, ბედიანები და სხვა და სხვა. მკითხველს ფეშქაშები. ხორო მომღერალთა, ბალალაიბების, მერიკის და მანდალინებისა. „კოტოკი“ გრამოფონი. გაიყიდება კონფეტები, ყვავილები, კონფექტები, ფოსტა და ბუფეტი. (5 3)

გ ა ი ხ ს ნ ა

დურგალთა პროფესიონალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაცემ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდგება თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

ბიუროს ადრესი: მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—14)

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი,

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—20)

ქ. ქუთაისში

ექიმი ჯაფარიძე

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6—31)

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

გალარჯაშვილი-მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—22)

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—8)

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი

ნ. ა. ატენიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—88)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—7)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

ე. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა, № 25- (0—244)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

ექიმი

ნ. გ. მრევლოვი,

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—24)

ე ქ ი მ ი

ვ. ნ. მაგაქიანი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმი ყურის და ნაწლევებისა. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 56, სახ. ქავჟანიძისა(25—წლ.

ე ქ ი მ ი

ე. მ ა შ ა ქ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ს. ი. კერესელიძე

გადავიდა გეგუთის ქუჩაზე პ. რუხაძის სახლში, (25—ფ.—10)

წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ამით „საზოგადოების“ წევრებს, რომ წესდების მე-11 მუხლის ძალით, ვინც დეკემბრის დამლევამდის არ გადაიხდის

საწევრო გადასახადს,

მომავალ წლიდან ჩამოერთმევა წევრობა.

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

რიღული—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—3 საათ.

იანჩევსკი—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

ერმოლაევი—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

ანზიმოვი—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

იოზეფიანისა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

ბოგოვსკი—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

გორბოვეცკი—შინაგ. ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ.

ანაევი—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

ჩუდნოვსკი—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

ვინოკური—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

ნაზიროვა—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

ნეფშტადტი—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

გორონშტეინი—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.

პიგარევი — | კლინიკური ანალიზი.
ჩუდნოვსკი— |

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—70)

1907 წ. 6 დეკემბრიდან

ქ. ტფილისში გამოდის ყოველ-დღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო

გ ა ზ ე თ ი

„ცის ნამი“.

გაზეთი წლიურად ღირს ტფილისში 7 მ. 50 კ., ნახევარის წლით 4 მ., ერთის თვით 75 კ. რედაქცია დროებით მოთავსებულია ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1. ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „Цисъ Нами“. (3 2)

სტუდენტი-ქართველი, რომელსაც არავითარი სახსარი სწავლისათვის აღარა მაქვს, და ამის გამო მრავალი დრო უნაყოფოდ დამეკარგა, დაბეჯითებით ვსთხოვ კეთილ პირთ, დახმარება გამიწიონ ცოტა ხნით მეცადინეობისათვის ხელის მოსაკიდებლად, რასაც ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საჭიროა სამი თვის განმავლობაში (იან., თებ., მარტი), თვიურად არა ნაკლებ 25—30 მან. ზაფხულის თვეებში ვიშოვნი და პირველ სექტემბრისათვის ვალს უკან დაუბრუნებ დიდის მადლობით. ვუცდი 1 იანვრამდის. პასუხის მიღებისათანავე ჩემს ვინაობასაც მოვიწერ.

ადრესი: Петербургъ. Главный почтамтъ, предъявителю вида на жительство отъ университета, № 14 900 (2—ფ.—1)

ტფილისის საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში, სამშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე გამართული იქნება

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მომღერალნი, დამკვრელნი და წამკითხველნი, და ბ-ნი

გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

წაიკითხავს ლექციას ხელოვნებაზედ:

მშვენების ფილოსოფია.

კონცერტში მონაწილეთა გვარები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბილეთები 2 მანეთიდან დაწყებული 50 კაპ.-მდე იყიდება „წერა-კითხვის გამ. საზოგადოებაში“, „ისრისა“ და „ნაკადულის“ რედაქციებში, ხოლო კონცერტის დღეს—საარტისტო საზოგადოების კასაში.

## ტფილისი, 11 დეკემბერი.

ისევ ჩვენებური საზოგადოებრივი ინდიფერენტისმი...

ვინ იცის, მკითხველო, იქნებ მოგბეზრდა კიდეც ამ სევდიან საგანზე წერილების კითხვა? იქნება, გაცილებით უფრო სასიამოვნოდ მიგაჩნია, პრესსა სრულებით ხელს აიღებდეს ამ საგნის წვრილში თარეშზე, მინებებდეს თავს საზოგადოებრივ გულ-გრილობის მხილებას და ამის წილ ოდნავ წაგიღიზიანებდეს გონებას, ვთქვათ, მსოფლიო იდეალებზე ბაასით და ნაზად აგიჟღერებდეს გრძნობათა მთვლემარე სიმებს მსოფლიო პოლიტიკურ ჰორიზონტების გადაშლით? ვინ იცის, იქნება არაფერი არ გესიამტკბილებოდეს შენ ისე ძლიერ, როგორც ის დუნე ქართული პუბლიცისტური მასალათი, რომელიც გზიდავს შენ მორფეის გულმკერდისაკენ, სადაც სიფხიზლის ძილი შეგიძლიან განიცადო და უკულმართი ჩვენი ცხოვრება ესტეტიკურად განსჭვრიტო, როგორც შენს გარეშე მყოფი სიზმრებრივი რამ ზმანება?.. იქნება, ჩვენი პუბლიცისტური კალამი ისე გაშფოთებს შენ, მკითხველო, რომ გულამღვრეული ისვრი გაზეთს შორს და „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“ ჰყოფ ჩვენს სიტყვას... ვინ იცის? ეს შეუძლებელი არ არის. მაგრამ არც ჩვენი ხმა შესწყდება, ვიდრე არ გავტეხთ შენს საზოგადოებრივს გულგრილობას და იმ ზომამდე არ განვითარდება ქართველი ადამიანის საზოგადოებრივი თვითმოქმედება, რომ ქართული კულტურული დაწესებულებანი ქართველ ერის სხეულისათვის აბჯრად გადიქმნენ, ისეთ აბჯრად, რომლის სიმტკიცეც არ შედრკება ხიშტის სანახაობით, რომლის იმედიც გააქარწყლებს შიშს საგანგებო რეპრესიების წინაშე...

სრულის შეგნებით და ქედშეუხრელის გადაწყვეტილებით ვუცხადებთ ომს, სასტიკს, ულმობელს ომს ჩვენებურ საზოგადოებრივ გულგრილობას და ან დავამარცხებთ, ან შევალევთ ჩვენს ძალ-ღონეს.

საზოგადოებრივს ინდიფერენტისმს ორი გზა აქვს, იგი ორს სხვა და სხვა წრეში ბრუნავს. ერთის მხრივ ჩვენებურს გულგრილობას ფართოდა ჰყავს შებოჭვილი ქართველ ხალხის მდაბიო ნაწილი, განსაკუთრებით გლეხობა,—აქ იმისი მარჯვენა ხელი უმეცრება და უვიცობაა,—ხოლო მეორეს მხრივ კი საზოგადოებრივი გულგრილობის ტყვედ ქმნილია ჩვენი ერის მოწინავე ელემენტი, იმისი ინტელიგენცია. აქ ტყვეობას ჰქმნის არა უმეცრება, არა უვიცობა, არამედ განკერძოვება ანუ ბუნებრივ ორგანიული კავშირის უქონლობა ქართველ ინტელიგენციის სულიერ შინაარსისა და ხალხის საჭიროებათა შორის, „ხიდი ჩატეხილია“ არა მარტო თავად-აზნაურობის და მშრომელ ხალხის შუა—ეს კიდევ ისეთი დიდი უბედურება არ იქნებოდა.—ხიდი ჩატეხილია განათლებულ ქართველ ადამიანის და ქართველ ხალხის შუა. აქ, ამ წრეში საზოგადოებრივ გულგრილობის დასაძლევად, ყოვლის უწინარეს ზნეობრივად დამარცხებულ უნდა იქმნას ეხლანდელ ქართველ ინტელიგენტის სულიერი შინაარსი, იგი ამ ზნეობრივის დამარცხებით უნდა განთავისუფლდეს თავის ეხლანდელ მცონარე სულის კვეთებისაგან და მხოლოდ მაშინ აშენდება ახალი ხიდი, მხოლოდ მაშინ დამყარდება ორგანიული კავშირი ხალხის და მის ინტელიგენციის შუა, მხოლოდ მაშინ დაიძლევა საზოგადოებრივი ინდიფერენტისმი ამ წრეში.

საზოგადოებრივი გულგრილობა იქ, სადაც ადამიანი მთელ სიცოცხლეს ისე ატარებს, რომ იმისი თვალთახედვის მინდორი ერთ სოფლად მოსახლეთა ინტე-

რესებზე მეტს არაფერს დაიტანს, შორს მქვრეტელობა წლის სარჩოს მოგროვებაზე შორს ვერაფერს ჭხადავს, სადაც ადამიანი უფრო ბუნების სტიქიურ ძალთაგან თავის ყოფა-ცხოვრების პირისპირს დამოკიდებულებას ჰხედავს, ვიდრე საზოგადოებრივად მოწესრიგებ.ლ სოციალურ ცხოვრების მეფურ ბატონობას ბუნების ძალებზე, იქ საზოგადოებრივი გულგრილობა მარტივი ხასიათისაა, აქ იმისი პსიხოლოგია ადვილი შესაგნებელია, იქ ეს გულგრილობა სრულიად ბუნებრივია. დიდძალი ნაწილი ქართველ გლეხობისა სადაც დაიბადება, იქვე ჩადის საფლავში, მთელის სიცოცხლის გზას ისე ჰლევს, რომ თავის პატრიარქალურ ბინას ოცის ვერსტის მანძილზედაც კი სულ ორჯელ-სამჯერ თუ დაჰშორდება ან მაზრის უფროსის, ან ბოქაულის, ან მოსამართლის ან მომრიგებელ შუამავლის დაბარებით; ამ გლეხის თვალ-წინ აყუდებული კლდეები ან გაშლილი ველ-მინდორი მართალია უკარნახებენ იმის გონებას, რომ ქვეყანა მარტო იმისი პაწია სოფელი არ არ ის, მაგრამ იმის ბნელი გონების თვალი შორს ვერა სჭრის, ხოლო ოცნება კი მთელი ქვეყანას უკარგავს მის თვალში რეალურ ინტერესების მიმზიდველობას და ვიწროდ ჰფარგლავს მის პრაქტიკულ მოქმედების ასპარეზს პატარა ბინის, სოფლის და ასიოდე კომლის ინტერესების საზღვრით. ჩვენებური გლეხი თავის ცხოვრების პირობით არის მონათავის საყოველ-დღეო ინტერესებისა და უმანძილო პერსპექტივებისა. ის ვერც საზოგადოებრივ თვითმოქმედების ძალას ჰხედავს და არც ესმის, რას წარმოადგენს ისეთი ფართო საზოგადოებრივი ერთეული, რომელიც იმის სოფელს გადაცდება. იმისთვის ყველაფერი, რის თავიც და ბოლოც მის სოფელში არ იმყოფება, იმისი მტერია ან, საუკეთესო შემთხვევაში, ცხოველ ინტერესს მოკლებული მანქანა, რომელსაც უფრო ხშირად მის დასაჩაგრავად და გასაცქვეფლად ამოაძრავებენ რაღაც და ვიღაც უცნობები. ქართველი გლეხი უნდოა და ეს უნდობლობა ბუნებრივის აუცილებლობით განვითარდა მასში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. მთელის ასი წლის განმავლობაში თუ ვინმე გარეშე მოევლინებოდა მას. იმ ფართო ქვეყნიდან, რომელსაც მისი ფანტაზია ჰქმნიდა ველ-მინდორთა და აყუდებულ მთათა გადაღმა, ეს იყო მოხელე, კაცთმოყვარეობის გრძნობისაგან დაფუკული მოხელე, ანგაარებით აღსავსე კაკარდოსანი, რომლის მოვლინებაც ყოველთვის რაიმე სასჯელის ან გადასახადთა მოთხოვნის მომასწავებელი იყო. გლეხის გონებაში მტკიცედ ჩაიბეჭდა აზრი, რომ მთელს სამყაროს რაღაც შეთქმულება აქვს მის წინააღმდეგ, იგი სასტიკის უნდობლობით გაიმსჭვალა მთელი ქვეყნისადმი, უიმისოდაც ვიწრო მინდორი მისი თვალთა ხედვისა უფრო შევიწროდა, იგი შიშით და კრძალვით დაჰკანკალებს თავის დაშრეტილ მიწას, დანგრეულ ქოხს, უკანასკნელის ძალ-ღონით ებღაუჭება ნახარს ქონებას, ეშინიან დაჰკარგოს „საფლავიც" კი, ეშინიან, სასუნთქავი ჰაერიც კი არ გამოჰგლიჯონ ხელიდან და უიმისოდაც უძრავი უფრო მეტად ჰკარგავს მოძრაობის ნიჭს... საზოგადოებრივობა ქართველი გლეხისთვის ისეთივე უცნობი ხილია, როგორც ის დიდი ქვეყანა, რომელიც სადღაც მთის გადაღმა არსებობს და საიდანაც მობრძანდებიან ხოლმე მისი მტერ-მოყვარე კაკარდოსანი მოხელეები ცხენების თქარა-თქურით, ბჟუვრიალა ტანისამოსით და მოელვარე თოფ იარაღით...

ქართველი გლეხი არა მარტო გულგრილი, იგი ამასთანავე უნდოა და გულგატეხილი. ამ პსიხიკის გამოსაბრუნებლად საზოგადოებრივი თვითმოქმედებისკენ არც მხედრული აგიტაციაა საკმარისი და არც სენტიმენტალური გულშემატკვრობა. აქ საზოგადოებრივ ინტერესების გასაღვიძებლად და გასაცხოველებლად საჭიროა დინჯი, სისტემატიური, აუჩქარებელი მუშაობა; მუშაობა, რომლის შინაარსიც ერთსა და იმავე დროს უნდა შეიცავდეს ცოდნის გავრცელებასაც, საურთიერთო დახმარების ორგანიზაციათა დაარსებასაც და პრაქტიკულად ფართო საზოგადოებრივ დაწესებულებათა ნაყოფიერ მოქმედების დემონსტრაციასაც.

ვინ უნდა გასწიოს ამ მუშაობის მძიმე უღელი? ვინ უნდა გამოაბრუნოს ქართველი გლეხი საზოგადოებრივ მოქმედებისაკენ? არც მთავრობა, არც ასზოგადოებრივი თვითმართველობა ჩვენში არა ზრუნავს და არც მომავალში იზრუნებს. ეს „უმაღლეს სახელმწიფოებრივ ინტერესებს" არ შეესაბამება, პირიქით ეწინააღმდეგება კიდეც. დარჩა მაოლოდ ქართველ ერის მოწინავე ელემენტი, ქართველი ინტელიგენცია და აი სწორედ იმან უნდა იდვას კისრად იმ დიდებული საქმის ასრულება, რომლის მიუწყებაც ქართველი ერის მტერთა ზურგის გამაგრება იქნებოდა.

ინტელიგენციაზე და იმის გულში დაბინადრებულ მცონარეობაზე შემდეგ ვილაპარაკებთ, ეხლა კი აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზი ფართოდ არის გაშლილი. ყველან წვეულ არიან ამ ასპარეზზე მოქმედებისთვის და ვაი ჩვენს ერს, თუ აქ წვეულთა შორის „რჩეულთა" საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

—:—

**სახელმწიფო საბჭოს სხდომა**. სახელმწიფო საბჭომ ორი სხდომა მოანდომა ათი წევრის მიერ შეტანილ კანონ-პროექტის განხილვას შესახებ ხალხის სიფხიზლის სამზრუნველოთა გაუქმებისა. ამ საკითხის შესახებ ბევრმა ილაპარაკა. ზოგმა მხარი დაუჭირა კანონ-პროექტს, ზოგმა წინააღმდეგობა გაუწია. ილაპარაკა, სხვათა შორის, ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა, რომელმაც განაცხადა, რომ სამზრუნველოთა გაუქმება არ შეიძლება. მას მხარი დაუჭირა გრაფმა ვიტტემ. მან ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, სთქვა: „ყოველთვის, როცა კი ხალხში დაწყებულა რაიმე მოძრაობა, არყის ხმარებასაც უმატნია. ასე იყო ყირიმის ომისა და ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ. ასე მოხდა ეხლაც, როცა სამარცხვინო რევოლიუციას ბოლო ედება". შემდეგ ორატორმა გაიხსენა ისტორია არყის მონოპოლიის შემოღებისა და განაგრძო: „როცა ეს საქმე დავიწყეთ, ბევრი ცერად უყურებდა მას და ამტკიცებდა, რომ ასეთ რიგულ საქმეს სახელმწიფო ვერ გაუძლევებაო. მაგრამ მათი აზრი არ გამართლდა. სიფხიზლის სამზრუნველოს საქმეს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ განა ამიტომ უნდა მოვსპოთ იგი? სამზრუნველოთა საჩაიებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს ხალხს. ზოგან ამ საჩაიებში საეკლესიო გალობას ასწავლიან. მე-XIX საუკუნის დამლევის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე პობედონოსცევი მეუბნებოდა ხოლმე: თუ მოხერხდა როგორმე და არყის მონოპოლიის მეოხებით მთელმა რუსეთმა დაიწყო ეკლესიებში გალობა, ეს უდიდესი სიკეთე იქნება რუსეთისათვისაო." დასასრულ ვიტემ მოითხოვა კანონ-პროექტის უარ-ყოფა და მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ საბჭომ მოისურვა მისი გადაცემა კომისიაში. ბოლოს დიდი ხმის უმრავლესობით კანონ-პროექტი კომისიას გადაეცა.

**საყურადღებო კანონ-პროექტი**. სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს 180 დეპუტატის ხელმოწერილი კანონ პროექტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ დახმარება აღმოუჩინოს ყველას, ვინც კი დაზარალდა უკანასკნელ ხანებში რევოლიუციონერებისა და სარევოლ. პარტიების მეოხებით.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **წ. კ. საზოგადოების კრება**. კვირას, 9 დეკემბერს, ნ. ზ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდა წლიური კრება „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა". კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფის ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. კრებამ მოისმინა 1906 წლის მოქმედების ანგარიში გამგეობის განმარტებით, და მცირე კამათის შემდეგ, დაამტკიცა. შემდეგ წაიკითხეს 1908 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა. გამგეობის ანგარიშით, შემოსავალი მომავალ წელს მოსალოდნელია 18 410 მან. ხარჯიც ამდენი იქნება. კამათი გამოიწვია ერთმა საკითხმა—საისტორიო მუზეუმი დარჩეს წერა-კითხვის საზოგადოებასთან, თუ გადაეცეს სხვა უფრო შესაფერ დაწესებულებას, მაგალითად, საისტორიო საზოგადოებას. ბოლოს კრებამ დაადგინა, არჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა მოილაპარაკოს ამ საქმეზე და მოხსენება წარუდგინოს მომავალ კრებას. კომისიაში აჩეულ იქმნენ ექ. ს. თაყაიშვილი, გ. რცხილაძე და ალ. სარაჯიშვილი. აარჩიეს აგრეთვე მეორე კომისია, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა მოაწეს-რიგოს ილია ჭავჭავაძის ანდერძის საქმე. ამ კომისიაში აარჩიეს ანტონ ფურცელაძე, ალ. ყიფშიძე, შიო დედაბრიშვილი, ანდ. ს. ღულაძე და ვ. ბერულაშვილი. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები 16 დეკემბრისათვის გადაიდო.

✦ **ჩამოხრჩობა**. რუსულ გაზეთების სიტყვით, კავ. სამხედრო-საველქო სასამართლოს განუხილავს საქმე ქარელის საბოქაულოს სოფ. სამწერესის გლეხების მეხაიძისა, გეორგაძისა, სიმონაშვილისა და ედინარაშვილისა. ამათ ჰბრალდებათ მედავითნის ბედიევის მოკვლა. სასამართლომ ოთხივეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

✦ **ჩხრეკა**. ჩხრეკა და დაპატიმრება ტფილისში ყოველ დღეა. სჩხრეკავენ გამვლელ გამომვლელთ, სჩხრეკავენ ბინებს. ამ დღეებში გაჩხრიკეს წმ. ნინოს სასაფლაოს გარშემო მცხოვრებთა უბნები. რამდენიმე შემთხვევა იყო გაჩხრეკისა პოლიციის მე 9 10 და 1 ნაწილებში. გუშინ დააპატიმრეს გაზეთ „წყაროს" ორი თანამშრომელი და „ახალი ქვეყნის" რედაქციის ერთი წევრი.

✦ **სტიპენდიები** წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძმათა ზუბალაშვილებისაგან ამ დღეებში კანცელარია მიიღო. ბ-ნ ზუბალაშვილებმა გადაუწყვეტიათ ყოველ-წლიურად გადასცენ 6000 მან. სტიპენდიების დასანიშნავად იმ ახალგაზდებისთვის, რომელნიც მოინდომებენ რუსეთის საშუალო თუ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში სწავლის მიღებას. ბ-ნნი ზუბალაშვილები 4 წლის ვადით უთმობენ უფლებას სტიპენდიების დანიშვნისას საზოგადოების გამგეობას თუ თითო სტიპენდიანტს 300 მან. დაენიშნა, საზოგადოებას ეყოლება 20 სტიპენდიანტი.

✦ **სასიკვდილოდ დაჭრა**. 8 დეკემბერს ვოკზლის ქუჩაზე, ენფიანჯიანცის ქარხნის პირდაპირ, ვიღაც კაცმა რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა იოსებ ვარძიგულოვი.

✦ **გრ. რობაქიძის ლექცია**. კვირას, 9 დეკემბერს ზუბალაშვილის სახალხო სახლში გრ. რობაქიძემ ქართულად გაიმეორა თვისი ლექცია „ეროვნული იდეა ფილოსოფიურ იდეალიზმის შეხედულებით". ლექტორმა ორ საათამდე ილაპარაკა. რადგან ლექცია მუშა ხალხისთვის იყო დანიშნული, ამიტომ ლექტორმა გაამარტივა იგი: ჩამოაშორა ბევრი რამე, ძნელად გასაგები ფილოსოფიურად მოუმზადებელთათვის, და დიდხანს ილაპარაკა შესახებ ეროვნულ კულტურის მნიშვნელობისა საზოგადოდ ყოველ ერისთვის და კერძოდ—ქართველებისთვის. ყველაზე უფრო ძნელი მხარე ლექციისა—ქართული ენა—რობაქიძემ ძალიან ადვილად დასძლია. ლექტორი მშვენივრად ხმარობს ქართულს, რაიც ადვილი საქმე არ იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ლექციის თემას. ხალხი საკმაოდ დაესწრო და დიდის ყურადღებით მოისმინა ლექცია, თუმცა დარბაზში რამდენიმე გრადუსი ყინვა იდგა.

✦ **მოსულიშვილის მოკვლა**. სიღნაღიდან დაწვრილებით გვატყობინებენ აღგილობრივ მციდარ მეფუთიაქის ლუკა მოსულიშვილის მოკვლის ამბავს. მკვლელობა მომხდარა ნუკრიანში. ვახშმის შემდეგ, როცა მოსულიშვილი, მისი მეუღლე და შვილი დაწოლილან, მსახურს რაღაც ხმაურობა გაუგია, გარედ გასულა და დაუნახავს, რომ ქვის კედელზე ვიღაც გადმოვიდა. ეზოში შემოსულმა უცნობმა შიგნიდან ჭიშკარი გააღო და შეუშვა ათამდე კაცი. ორს მსახური შეუნიშნავს და მუქარით გაუჩუმებია, რვა-

# ფელეტონი

## სოფლის ავი და კარგი*)

გლოვობდა თუ არა ერის უმეტესობა ილია ჭავჭავაძის გულ-შემზარავ სიკვდილს? სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ არა, არა გლოვობდა და არც იცოდა, ვინ იყო ილია ჭავჭავაძე. ერთმა ხნიერმა გლეხმა მითხრა, ილია ჭავჭავაძე „დიდი კაცი", „ღენერალი" იყოო. უფრო ახალგაზდამ მიპასუხა, აბა რა ვიცი, რომელი გაზეთის მკითხველი მე მნახეო! ერთს კი, ცოტა არ იყოს, შერცხვა და სთქვა, როგორ არა. ვიცი, ვინც იყო ილია ჭავჭავაძე, ძლიერ პატიოსანი კაცი იყოო.

და ამგვარ პასუხს გაიგონებთ გლეხებისაგან საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში. ხალხი უმეცრებაშია ჩაფლული, სძინავს სიღათას ძილით. მოხუცი და ახალგაზდა, ყველა ერთია, თითქმის არავინ არ იცის კითხვა და, კიდევაც რომ იცოდეს, კითხვით თავს არ იწუხებს.

ამას წინად ერთ აზნაურს ვესტუმრე. გამოტეხილი მოგახსენოთ, ტყუილა დროს ტარებას არა ვჩვევივარ და, სადაც უნდა წავიდე, საკითხავი წიგნი ხელში მიჭირავს, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, მე ჩემმა მასპინძლებმა ჩემ ნებაზე არ დამაყენეს. დამინახავდნენ თუ არა, წიგნშიაც რომ ვყოფილიყო თავ-ჩაქინდრული, მოვიდოდნენ და დამიწყებდნენ უშინაარსო საუბარს, დილიდან სადილობამდის და სადილობიდან ვახშმობამდის. და, როცა მუსაიფის გუნებაზე არ იყვნენ, ისხდნენ თავ-თავიანთ სახლების წინ თვალებ-დაჭყეტილნი. რას ფიქრობდნენ ისინი მაშინ? რომ კარგს არაფერს ფიქრობდნენ, ეს ცხადია; ალბად აწყობდნენ პლანებს, ვისთვის რა დღეტყუებინათ, ვის რას ჩამორჩენოდნენ; ხან, უეჭველად მანილოვისებური ოცნებით სტკბებოდნენ.

ასე მიდიოდა მთელი ცხოვრება. არც მუშაობდნენ, არც კითხულობდნენ, არც არაფერი საზოგადო საქმე აინტერესებდათ. მერე თითოეულ მათგანს ოთხი-ან სამი კლასსი მაინცა აქვს გათავებული!

თუ კი ასეთია იზნაური, როგორი და იქნება გლეხი, რომელმაც წერა-კითხვაც არ იცის?! მას თითქმის არაფერი არ აინტერესებს იმას გარდა, რასაც თვალით ჰხედავს და პირდაპირი კავშირი აქვს იმის პირად ცხოვრებასთან. მართალია, რევოლიუციის დროს გლეხობაც აბობოქრდა, ამოძრავდა, მაგრამ იმას კი არ ვამბობთ, ვითომ გლეხი არასოდეს და არსად გაჰყოლია საერთო მოძრაობას მეთქი. გლეხიც ადამიანია, რევოლიუციის დროს იგიც რევოლიუციონერია, როგორც ყველა სხვა ჩაგრული კლასსი. მაგრამ, ჩადგება თუ არა რევოლიუციის გრიგალი, ჩვეულებრივ დროს გლეხი კონსერვატორად ხდება, მალე ავიწყდება თავისი გამოფხიზლების წამი და ისევ ძველებურ საამურ ძილს ეძლევა. დიაღ! გლეხს სძინავს სოციალურად. ათასგვარი გაჭირვება აწუხებს, უღონის სხეულს, სწვავს გულს, სიკვდილ სიცოცხლის პირას აყენებს, მაგრამ იგი მაინც ვერ ღალატობს მამაპაპისებურ ზნე-ჩვეულებას, არ სცდილობს ახალი ფარ-ხმალი მიაგებოს ახალ ჭირს, შეეგუოს ცხოვრების არა ჩვეულებრივ პირობებს. მას არ მოსწონს ახალი გუთანი, ახალი თოხი და სხვა იარაღი; არ მოსწონდა რუსული სკოლა, ახლა კი ქართულს იწუნებს; არ უნდა სავაჭრო და სამიწათ-მოქმედო ამხანაგობანი; არ უნდა ისწავლოს წერა-კითხვა და ვინც კითხვა იცის, არ კითხულობს! ერთის სიტყვით, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენი გლეხი გონებით ზანტია.

გლეხს საზრდო აკლია, დამშეულია. მიწა-ნარევი პური ან მჭადი არის თითქმის ერთად ერთი მისი საჭმელი ხორცს ათასში ერთჯერ თუ იშოვის. რძე და ყველი მხოლოდ მთიულებს არ აკლიათ, მაგიერად ამათ პური და სიმინდი არ მოსდით სამყოფი. კაცის სულიერი მდგომარეობა, გუნება, დამოკიდებულია, სხვათა შორის, ბინის მოწყობილობაზე. სული და გული სწუხს, როცა სიბინძურე, სიცივე და სისაწყლე გარტყია გარს. და ქართველ გლეხის სახლში კი უკიდურესი სისაწყლე სუფევს. დამივლია ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი, კახეთი და ქართლი, იმერეთი და რაჭა, გურია და სამეგრელო, მთიულეთი და ოსეთი, და ყველგან მინახავს ერთი და იგივე სურათი: არსად არა აქვს გლეხს ისეთი სახლი, რომ შიგ შესვლის დროს არ გაიფიქრო, ე რა ჯოჯოხეთში შემოვედიო, და გულს ნისლი და ბოღმა არ გადაგეფაროს.

აი, მაგალითად, ხევსურის ბინა. ქვედა სართული შესდგება ორის ოთახისაგან. პირველში აბია საქონელი და დგას ჭენჭყობი შარდისა და ნეხვისა. ეს აყროლებული ბოსელი უნდა გაიარო, რომ შეხვიდე დედაკაცების საწოლში, სადაც, კაი უნდა, ხუთი წამი გასძლო ბოლისა, სიბნელისა და სიმყრალის გამო. აქ არის ხევსურის სალარო, სიმდიდრე და ჭირნახული. დედაკაცების საწოლს ზედ ადგია „ჭერხო", მამაკაცების საწოლი, გამჭვარტლული, ბნელი, ტყავებით მოფენილი, მყრალი.

ვის არ გაუგონია ხევსურთა სოფელი „შატილი"? რა მშვენიერი სახელია! ნამდვილად კი შატილი სიბინძურის ბუდეა. მთელი სოფელი წარმოადგენს ერთ ციხეს, კლდეზე მიშენებულს. თითეული სახლი, ვგონებ, ოთხ-ოთხი სართულისაგან შესდგება. სოფელს ანუ, უკეთ ვთქვათ, ციხეს, აუარებელი ხვრელები აქვს ქვეშ, რომელშიაც უნდა ატაროს საქონელი თითეულმა ოჯახმა. ერთის სიტყვით, ნამდვილი კატაკომბებია. ხვრელები საქონლის ნეხვითა და შარდით არის აყროლებული. არა ნაკლებ ჰყარს ადამიანთა სადგომები. და ასეთ საშინელ ანტიჰიგიენურ პირობათა შორის სცხოვრობს შატილელი მთელი მისი სიცოცხლე! საკვირველია, როგორ შეირჩინა მან კიდევ თავისი ჯანი და ღონე?!

ახლა შევიხედოთ ფშაველის ქოხში. უზარმაზარი „ძელური", ბნელი, უიატაკო, უბუხრო ან ქართული ბუხრით; აუარებელი ავეჯი, ჰურჭელი, ქვეშსაგები; ერთის სიტყვით, ოჯახი სავსეა. სტუმრის პატივისცემა უყვართ. დაგიგებენ ლეიბს, დაგახურავენ საბანს, თავ ქვეშ დაგიდებენ ბალიშს. მაგრამ ვაი შენი ბრალი! ძლიერ მაგარი გული უნდა გქონდეს, რომ გაუძლო ქვეშსაგების მყრალ სუნს და თავი გამეტებული უნდა გქონდეს, რომ ერთი ღამე ამ გვარ ქვეშ-საგებში გაათიო.

უკეთესი მოსახლობა არც სხვა მთიულებსა აქვთ. ამას წინად შემთხვევა მქონდა მენახა მთაში დახიზნულ ოსის ოჯახი. ჯერ სანამ ადგილზე მივიდოდი, აუარებელ ველ-ქედები უნდა გადამელახა. მივედი ბინაზე დაღლილ-დაქანცული, მეგონა, მადლობა ღმერთს, ახლა კი მოვისვენე მეთქი, მაგრამ მალე ვინატრე, ნეტავი გზაში ვიყო და აქ არ მოვსულიყო მეთქი. შენობა ჰქონდა, მაგრამ ზოგს ბუხარი აკლდა, ზოგს ჭერი, ზოგს იატაკი. როგორც იყო, ამოვარჩიეთ ერთი უიატაკო ოთახი, დავანთეთ ბუხარში ცეცხლი, მაგრამ ბოლმა მოიცვა იქაობა. გავაქრეთ ცეცხლი და სიცივემ და სინესტემ შემაწუხა. გათენდა. უეცრად ცა ჩამობნელდა, იქუხა და გაავდარდა, მერე წვიმა თოვლად იქცა. შესწუხდნენ მასპინძლები: „ჯერ თივა და პური არ მოგვიმკია, საზამთროდ არ მომზადებულიყვნენ. გარშემო მხოლოდ ორი მოსახლე სცხოვრობდა. გული დამიბნელდა, გუნება დამიმძიმდა და, რომ იტყვიან, საძაგელ გუნებაზე დავდექი. შემეცოდა მასპინძლები, ვიფიქრე: ნუ თუ ამ საშინელ მარტოობაში, ამ ცივ და ნესტიან სახლებში უნდა გაატარონ მკაცრი ზამთარი მეთქი? ჩემი გულის პასუხი ხმა-მაღლა აღვიარე. მაგრამ ჩემ მასპინძლებს სიცივისა კი არ ეშინოდათ, არამედ შიმშილისა. სიცივეს და სინესტეს ისინი შეჩვევიან. მხოლოდ ოხერ შიმშილს ვერ შეეჩვევა კაცი.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, ერთ ავადმყოფ კახელ გლეხს ვეწვიე. მისი ქოხი ჭუჭრუტანებით იყო დახრული; ყოველ კუთხიდან ქარი შემოჰქროდა. იატაკად ჰქონდა ტიტველი დედა-მიწა. შუაგულ ალაგას ხრჩოლავდა კერა; ბოლით იყო მოცული იქაობა. ყველაფერი მჭვარტლით იყო გაშავებული; ავადმყოფს ქვეშსაგებ ქვეშ წყალი შესდგომოდა; სციოდა და შეშა არსადა სჩანდა. სიცივე, შიმშილი, უსახლკარობა და ავადმყოფობა, ამაზე მეტი უბედურება შეიძლება კიდევ?! მუხთალი ბედი ყოველგვარის საშუალებით აღჭურვილა, რომ ხელში ჩაეგდო და ეწვალებინა თავისი მსხვერპლი, საცოდავი, საბრალო გლეხი.

მაგრამ განა მარტო ერთი კახელია ამ გვარ ყოფაში?! ხალხის უმეტესობა ბედს შომდურავია.

არ იფიქროთ კი, რომ იმერელი, რაჭველი ან მეგრელი უკეთ იყვნენ დასახლებულნი. და, ასე გასინჯეთ, თვით სუფთა და ფაქიზი გურული გლეხის ქვეშსაგებსაც კი,—თუ უკაცრავად არ ვიყოთ თქმისთვის,—სუნი უდის. გ. წ.

(შემდეგი იქნება)

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა ავტორის ზოგიერთ აზრს არ ვეთანხმებით. რედ.

...კი სახლში შესულან და სროლა აუ-ტეხიათ. ყველას პირისახე ახვეული ჰქო-ნია. უცნობნი რომ გაიქცნენ, მსახური ...ახში შესულა და დაუნახავს სამის ...ყვითა და ხანჯლებით მოკლული მო-...ლიშვილი. იქაურობა არეულ-დარეუ-...ა. გამოძიებამ გამოარკვია, რომ უცნო-...ებს წაუღიათ ორი თოფი და სხვა და სხვა ...თი. როგორც ამბობენ, მოკ...ლიშვი-...ი შურისძიებით მოუკლავთ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის საზო-გადოება ბათუმში.** ბათუმშიაც დაარ-...ა საზოგადოება სახალხო უნივერსი-...ტისა. თავმჯდომარედ აირჩიეს გ. დ. ...რული, თავმჯდომარის ამხანაგად ექი-...მ ტილოვი, მდივნად ვოხმინი, იმის ...ანაგად უზნაძე და ხაზინადრად ა. დ. ...ანოზიშვილი. უკვე შემდგარა სამი ...ქცია.

✦ **გამართლება.** სასამართლომ უკვე ...არჩია საქმე გიორგი კასრაძისა, გეურქ ...რაბოვისა და იოსებ ჯანიევისა, რო-...ლნიც პასუხის გებაში იყვნენ მიცე-...ლნი 13 ივნის მუხრანსკის ქუჩაზე მომ-...არ აფეთქების გამო. სასამართლომ ...მივე გაამართლა.

✦ **გაცარცვა.** 9 დეკემბერს ერევნის ...უბერნიის სოფელ იმანშალუში, რო-...რც გვატყობინებენ, ხუთ ვიღაც ჟან-...არმის ტანისამოსში გამოწყობილ კაცს ...უხრეკია ერთის მდიდარ სოფლელ...ს ...ლი და წაუღია 3,000 მანეთი. ერთს ...ურმე ჟანდარმის პოლკოვნიკის ტანისა-...ი ეცვა, მეორეს—ადიუტანტისა, და-...რჩენ სამს—უბრალო ჟანდარმისა. ამა-...ან რამდენიმე კაცი უკვე შეიპყრეს, ...თი გიმნაზიის მოწაფე გამოდგა.

✦ **მკვლელობა.** 9 დეკემბერს, დი-...ს 11 საათზედ, ბაზარში ვიღაცეებმა ...ოლვერით მოჰკლეს ქუთაისის გუბერ-...ს მცხოვრები იასონ ჩიქოვანი. მკვლე-...ები მსწრაფლ მიიმალნენ. მიზეზი ...ვლელობისა ჯერ არ არის გამორკვეუ-...ი. ჩიქოვანს ჯიბეში აღმოაჩნდა 7 ცა-...ი ყალბი სამ მანეთიანი.

✦ **მანტაჟისტები.** პოლიციის მე 5 ...წილში 9 დეკემბერს, დილის 11 სა-...თზედ, ხოჯაფირიძის და მაისურაძის ...რვასლაში 5 შეარაღებული კაცი შე-...ვარდა მაღაზიაში ახალციხელ არონ ...ასპიშვილსა და გორელიშვილს. ფაჩრებ-...ა ხმაურობა ასტეხეს. მოცვინდნენ პოლი-...ელები და დააპატიმრეს ოთხი კაცი. ...ინი აღმოჩნდნენ: ხაჩატურ ბადალიან-...ი, გერასიმე გლახოვი, ბახშო ოჰანე-...ვი და ალალო ვერდანიანცი. ეს უკა-...სკნელი აღმოჩნდა მეეზოვე სურფ ნიშა-...ს ქ ჩაზე. დაპატიმრებულთ რევოლვე-...ები უნახეს. კასპიშვილსა და გორელი-...ილს ამ რამდენიმე დღის წინად მუქა-...ს წერილი მიუღიათ. უცნობებს მო-...თხოვნიათ 800 მან., თორემ ცოცხ-...ებს არ გაგიშვებთო.

✦ **ტფ. მაზრის გომბორის, საცხენისის, ...ის, შუდანდოის და მარტყოფის გდე-...ებს უთხოვნიათ სესხი ხაზინიდან.**

✦ 8 დეკემბერს, საღამოს 5 საათზედ, ...მსოვის ღვინის სარდაფიდან სოლოლა-...მ მუშა ოჰანეზ ბაღდასაროვისათვის ...უტანიათ ყუთი ღვინიანის ბოთლებით. ...ტენის აფთიაქის პირდაპირ სოლოლა-...ს ქუჩაზე მუშას ოთხი უცნობი დახვე-...რია და უბრძანებია,—ღვინო ნუ მიგაქ-...ს. შემდეგ ქვა ჩაუგდიათ ყუთში და ბო-...ლები სულ მიულეწ-მოულეწიათ.

✦ თელოდსის ქუჩაზე 8 დეკემბერს ...ღამოთი 3 უცნობი მისულა და მე 25 ...მრის სახლის კარები დაუკაკუნებია. ეს ...უნიშნავს მეეზოვეს და დაუძახნია პო-...იციელებისთვის. უცნობნი გაქცეულან. ...სროლეს თოფები, მაგრამ ააცდინეს. ...რთი, ალექსანდრე ბიჩენკო, დააპატიმრეს, ...რომელმაც განაცხადა, აღნიშნულ სახლში ...მ ნაცრობ ქალთან მინდოდა შესვლაო.

✦ ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის მამულის ...მეებს მიხეილ არჯევანიძეს, როგორც პოლი-...აში გამოუცხადებია, 9 დეკემბერს დამოენას-...ან დაჰხვედრია ოთხი კაცი; წაურთმევიათ ბან-...ფული 258 მან. და მიმალულან. წაუღიათ ...რეთვე ტრამვაის უფასო ბილეთიც.

✦ ნიკოლოზ ქიქინაძის მსახურს ისაია კა-...აროვს, როგორც პოლიციაში გამოუცხადე-...ა, 9 დეკემბერს საღამოთი მჭედლიშვილის ...რდაფში ღვინო უყიდნია და ეტლით წასულა. ...უშკინის ქუჩაზე კაჩევაროვს თავს დასცემია 8 ...უცნობი, ეტლი გაუჩერებიათ, ღვინის ქურქლე-...ი მიულეწ-მოულეწიათ და მიმალულან.

9 დეკემბერს განთვის ქუჩაზე მოვაჭრე გურა-...ამე ვართანესოვს მოპარეს სამკერვალო სახე-...ოსნოდან 520 მანეთის ტანისამოსი. დააპატიმ-...ს მურად კრიქოროვი—მეეზოვე და მარტინ ...რადოვი.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ 5 დეკემბერს გენერალ გუბერნა-ტორის ბრძანებით ადგილობრივმა დაწე-სებულებებმა დიდის ამბითა და ცერემო-ნიით დაასაფლავეს ამას წინად მოკლუ-ლი ქუთაისის სატუსაღოს ზედამხედვე-ლი აბშილავა. წინა დღეს გაიცა გენე-რალ-გუბერნატორის ბრძანება, ხვალისა-თვის ყოველმა დაწესებულებამ უნდა იგლოვოს აბშილავა და დაესწროს იმის დასაფლავებასო. დაწესებულებებში სიაც ჩამოატარეს და ზედ ხელი მოაწერინეს მოსამსახურეებს. მიუხედავად საშინელ წვიმისა და სიცივისა, ნაშუადღევის სამ საათზე მოკლულის ბინაზე დიძალმა სა-ზოგადოებამ მოიყარა თავი: ქუჩაში სამ-ხედრო პირების, ჩინოსან კაკარდოსნების, სხვა და სხვა დაწესებულებათა მოსამსა-ხურეებისა და ეტლების ტევა აღარ იყო. სახლიდან კუბო გენერალ-გუბერნატორ-მა და ქალაქისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა გამოასვენეს. კუბოს ამკობდა ორი გვირგვინი, რომელიც სალდათებს მიჰქონდათ ხელით. პროცე-სიის დროს სარევოლიუციო სამგლოვია-რო ჰიმნს „Вы жертвою пали“-ს უკრავ-და სამხედრო მუსიკა და გალობდა სამ-ხედრო ხორო. წესიერების დასაცველად პროცესიას წინ მიუძღოდნენ პოლიციე-ლები და ცხენოსანი კაზაკები; ქუჩებიც ცხენოსან კაზაკებით იყო შეკრული. გზა-და-გზა, საცა პროცესიამ გაიარა, მაღა-ზიებს ჰკეტავდნენ. პროცესიის დროს ხშირად გაიგონებდით ხოლმე: „აი, სწო-რედ ამას ჰქვიან ძალად მაცხონებაო!“

✦ როგორც ამბობენ, საგუბერნიო სატუსაღოს პატიმართ, სატუსაღოს გამ-გის მოკვლის გამო, აეკრძალათ ერთის თვით ნათესავების მიღება. ის დუქანი, რომლის მახლობლად მოხდა სატუსაღოს გამგის აბშილავას მკვლელობა, დაიკეტა, ხოლო დუქნის პატრონი დაატუსაღეს.

✦ გუბერნატორის განკარგულებით, შემდეგის ინციდენტის გამო, დაიკეტა ქუთაისის კლუბი. რამდენიმე ხანია, რაც კლუბში დაიარებოდა ერთი კაცი, რო-მელსაც პოლიცია ყურადღებას თურმე აქცევდა. ბოლოს ვითომ გამოირკვა, რომ კლუბში მოსიარულე ქებაძეა, რო-მელიც ადმინისტრატიულად არის გაგ-ზავნილი. პოლიციამ ქებაძედ ცნობილი პირი დაატუსაღა, ხოლო კლუბი დაკე-ტა. კლუბის ადმინისტრაცია სცდილობს, რომ ადმინისტრაციამ ნება მისცეს კლუ-ბის გაღებისა.

✦ ოჯახს ვერ ნახავთ ქუთაისში, რომ გადამდები სენით ავადმყოფი არავინ იყოს. ყვავილი, ქუნთრუშა, დიფტერიტი და სხვა ხშირად ერთ ოჯახშია დაბუდე-ბული. გარდაცვალებულთა რიცხვი მრა-ვალია; ავად ხდებიან ბავშვები და მო-ხუცნი. მიუხედავად ამისა, ქუთაისის სას-წავლებლებში სწავლა არ შეწყვეტილა. სწავლის შეუწყვეტლობას კაცი არა-ფრად ჩააგდებდა, რომ ის მოსწავლენი, რომელთა ბინებში სენი მძვინვარებს, სა-სწავლებლებში არ დადიოდნენ, მაგრამ ამას არავინ დაგიდევს. მოსალოდნელია, რომ მთელი ქალაქს მოედოს ავადმყო-ფობა.

✦ 4 დეკემბერს ქალაქის საბჭომ კ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით საბოლოოდ გადასწყვიტა სადორიის ექსპლოატაციის საკითხი. საბჭომ, მცირე კამათის შემდეგ, მიიღო თითქმის სავსებით სპეციალისტთა კომისიის გადაწყვეტილება. აი, ეს გა-დაწყვეტილება: 1. დარჩეს საძოვრად 100 დესეტინა, ხოლო მომავალ საავადმყო-ფოს პარკად 60 დესეტინა; 2. მთელ მა-მულს შემოვლოს თხრილი, ხოლო ამო-ნათხარ მიწაზე დაითესოს ეკლიანი ხე გლიადიჩო და ამ მცენარის გაზრდამდე მამულს გაუკეთდეს ღობე; 3. მთელი ტყე გაიყოს 30 ნაწილად და ყოველ წლივ მოიჭრას ოცდა მეათედი ნაწილი ტყისა; 4. შარშან მოჭრილ ტყის ალაგ-ზე გამოსაცდელად დაითესოს აკაცია და სხვა ჯურის ხეები იმ აზრით, რომ გა-მოირკვეს—რომელი ჯურის ხე უფრო ივარგებს სადორიის ნიადაგზე; 5. პირ-ველ წელიწადს გაიჩეხოს 15 დესეტინის ნაცვლად 45 დესეტინა, ხოლო შემდეგ ორ წელს ტყე აღარ მოიჭრას.

## ახალი საშუალება დაბალ სწავლა-განა-თლების მოსაწყობად ჩვენში

(წერილი რედაქციის მიმართ)

ნაპოლეონმა სთქვა: «გამარჯვებისთვის სამი საშუალებაა საჭირო: ფული, ფული და ფულიო». ეს სამი საშუალება დღესაც ისევე საჭირო და აუცილებელია საქმია-ნობისთვის, როგორც ნაპოლეონისთვის ბრძოლის ველზე იყო. უსახსრობის მო-მაკვდინებელ ზედგავლენას განიცდის ყვე-ლა ქართული საზოგადოებრივი დაწესე-ბულება და ამიტომ ზოგს უდროოდ სული ამოსდის, ზოგი კიდევ საცოდავად სულსა ჰდაფავს.

ვიცით, რომ არა გვყვანან ისეთი სოვ-დაგარ-მილიონერები, რომ მათმა შეწო-რულებამ ან ანდერძად დატოვებულ ქო-ნებამ ასაზრდოვოს ჩვენი საჭირო სახალ-ხო დაწესებულებანი. თუ მოგვემებნება კიდევ ვინმე, იმასაც ბუზივით ეხვევიან გაჭირვებული და გაუჭირვებელი მთხოვ-ნელნი. ზღვა კოვზით დაილევაო და იმა-თაც რა ჰქნან, თუ ბევრს უარს ეუბნებიან.

ხომ ყველამ ვიცით ასეთი ჩვენი მდგო-მარეობა? მაშ ვინ უნდა უშველოს მწყურ-ვალთ წყურვილის მოკვლაში? ხალხმა, ქარ-თველმა საზოგადოებამ. მან უნდა გაიგდე-ბინოს ჯანი, გაიჭიროს ცოტა ხნობითაც, რომ საუკეთესო მომავლის გამოჭედვას სახსარი უშოვნოს. დიახ, როცა არ გვე-ბულება ისეთი განძი, საიდანაც ულევე-ლად შეიძლება ამოღება, როცა არა გვყვა-ნან პირნი, რომელნიც დაუშრეტელ სიმ-დიდრეს მოგვცემენ, მაშინ ამ განძად, ამ დაუშრეტელ სიმდიდრის გამომღებად უნ-და გაზდეს ხალხის დაკონკილი ქისები და მჩვრებში გამონასკული გროშები.

აკი ასეც ყოფილა: „ისარის“ მე-264 № გკითხულობთ, რომ «ყველაფერში გულ-ცივი, თითქმის ყოველ საზოგადო საქმის-თვის გულდახურული „ქართველი საზო-გადოება“ არაფერს არ ჰზოგავს, წელებზე ფეხს იდგამს და წელიწადში ერთ მილიონ მანეთს იხდის ახალ თაობის უმაღლესს სასწავლებლებში ასაზრდელად“.

მართლაც რომ მეტის-მეტად დიდი გა-დასახადი დაუდვია ქართველ საზოგადოე-ბას თავზე ბეგარად, ნამეტნავად თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ გაფცქვნილ გადარცნულები ვართ და სამუშაოს შო-ვნის დროს ყველგან თვალ-აწუნებულ გერებად ვითვლებით ამ ბოლო დროს.

მერე. ქართველ საზოგადოებას რითი უნაზღაურდება ასეთი დიდი მსხვერპლი, სამშობლო მხარეს, მუშაკთა მოსაჭიროებს და მოლოდინარს, ვინ და რამდენი უბრუნ-დება ამ მოსწავლეთაგან? ამ კითხვაზეც პასუხს იმავე ნომერში ვკითხულობთ.

„ერთად-ერთი აზრი, რომელიც ამო-დენა ფულს ახარჯვინებს ქართველ ხალხს უმაღლეს განათლებაზე, არის აღზრდა კაი ჯამაგირიან სახელმწიფო მოხელესი (ჩინოვნიკისა), ან კაი შემოსავლიან თა-ვისუფალ პროფესსიის ადამიანისა»... «უმაღლეს განათლების დიპლომს წელი-წადში ორასამდე ქართველი ახალგაზრდა იღებს. სად არიან ეს უმაღლესად განათ-ლებულნი?.. რუსეთის კანცელარიებში, რუსეთის დიდს ქალაქებში, რუსეთის მიყ-რუულ ადგილებში, სადაც ორკეც-ჯამაგი-რებს აძლევენ მოხელეებს».

აი რისთვის და ვისთვის იწვალებს დღეებს, წლებს ქართველი ხალხი. ჯო-ჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა, მიიტა-ნეს და ისიც იქ შესდესო, სწორედ ჩვენ დაგვმართნია: ჩვენი ცდა, წელებზე ფეხის დგმა და სიცოცხლის ჩამწარება იმისოვის გვიდგია თავზე, რომ რუსეთის აუარებელ „ჩინოვნიკობას“ ჩვენც შევსთავაზოთ რა-მდენიმე მოღვაწე. თუმცა, როგორც დარ-წმუნდებოდა ჩვენი საზოგადოება, ამ ბო-ლოს დროს, ყველა ეგრედ წოდებულ დიპლომიანის, დაბრუნება სამშობლოში ხელ-საყრელი არ არის ჩვენის ერისთვის, მაგრამ ამ ერს, ამ ქვეყანას უფლება აქვს დაიბრუნოს მომეტებული ნაწილი თავის შვილებისა, საუკეთესონი იმათთგან, რო-მელთაც აწოვა თავისი ვამშრალი ძუძუ, და მაინც გამოზარდა. ესენი არიან მოვა-ლენი შეალიონ თავიანთი ძალ-ღონე მშო-ბელ ერის ბედნიერებას, მათ უნდა შეჰ-ქმნან ყოველნაირი სიმდიდრე და ძალა სამშობლო ნიადაგზე. მხოლოდ ასეთის გასწორებით მშობელი მხარე შეიქნება უზრუნველ-ყოფილი აწიოკება-დანიავება-ადგვისაგან. ასეა ყველგან, ასე უნდა იყოს ჩვენშიაც. უნდა იყოს, მაგრამ ამის ნაც-ვლად სულ უკუღმართს ვხედავთ. ყოვე-ლი ჩვენი გამოჩენილი ნიჭი სხვაგან ჰშ-ლის ფრთებს, სხვებს აუმგერებს გულს, სხვებს უნათებს გზას წინ, ბედნიერები-საკენ სასვლელად. ჩვენ კი ოდნავ მბჟუ-ტავი კუდი გვხვდება ამ მნათობთა პრ-ჭყვიალის დროს. განა საჰყოფია, რომ ამისთანა შვილების დაკარგვის დროს მშობელმა მხარემ იამაყოს იმითი, რომ მისი სისხლნი და ხორცნი, მისთვის მე-ტად საჭირონი და სიკვდილს გადამარ-ჩენელნი, იქ, შორს, სხვაგან მოღვაწეო-ბენ? ამისთანა ბრძნულ ნუგეშის ცემაზე ქართველ ხალხს ზედ-გამოჭრილი ბრძნუ-ლივე ანდაზა აქვს: „ჩემი ურგები ქოჩიანი ქვას, მაწონი მაღლსაო».

მაშ რაკი ასეა საქმე, რაკი სამშობლო მხარეს ვერ უბრუნებთ უნაკლოდ იმ მალ-ღონეს, რაც მან თავის ღვიძლ შვილებს გადასცა ბუნებით, რაკი მომეტებული ნა-წილი ნიჭიანნიც და უნიჭონიც ქედს იქით რჩებიან და ქედზე გადმოსულნიც ქედს იქითურებას სამსახურს რჩეობენ, მაში ის მაინც მოვახერხოთ, რომ ამ „ეპოლე-ტებიან-ზნაჩოკებიან-კაკარდიან-ფრაკიან-ტომლაკიან ჩინოვნიკებმა» მოგვაქვავონ ღატაკთ, ძვალ-ტყავად ქცეულ ქართველთ ჩვენი ოხერ-ტიალი—მათზე დახარჯული ფული, ამის ასრულება შეუძლიან ყველა დიპლომიან ქართველს იმ დღიდან, როცა უთოვლებს და თავს შეჰყოფს რომელსამე სამსახურში. რაკი ამისთანა ბედნიერი წა-მი ეღირსება ჩვენებურ დიპლომიანებს, მომეტებულ შემთხვევაში, ივიწყებს თავის სიღატაკეს, თავის თავგადასავალს უნი-ვერსიტეტში სწავლის დროს და ეძლევა ფუფუნებას და განცხრომას. თითქოს ჯიბრით იქცეოდესო, ისე ჰფლანგავს სხვა და სხვა სიამოვნებაზე ფულს, ჰფან-ტავს პირველ ხარისხოვან ფუნტებში, მოსამსახურეებზე, ლაქიებზე, ფაიტონებზე და სხვა, თითქოს ამის მეტი აღარც სია-მოვნება არსებობდეს და აღარც რაიმე მოვალეობა ედოს თავზე. ხანდისხან ისე-თი უბედურებაც გვეწვევა ხოლმე, რომ სა-მადლოდ აღზრდილი მტრად უხდება მის კეთილის მყოფელ საზოგადოებას, ერს და ყოველ სისაძაგლეს სჩადის ამის შემდეგ. ყველამ ვიცით ასეთი მაგალითები.

აი, ასეთი ნასწავლნი, მომეტებულ ნა-წილად, სარგებლობენ ჩვენის ნაწვავ-ნა-დაგით. ამისთანა ადამიანებს რომ მშო-ბელმა ერმა უთხრას, შვილო, თუ მთლად არ დამედები, თუ ტკივილებს არ შემი-ამსუბუქებ შენის მოღვაწეობით და სწავ-ლა-განათლებით, თუ ვერ შეებმი იმ უღელშივე, რომელშიაც უხსოვარ დრო-იდგან შეებმებოდნენ ხოლმე ჩემი ერთ-გული შვილნი და თავდადებულად ეწე-ოდნენ, მაშინ იმდენი მადრიელობა მაინც გამოიჩინე, რომ უნაკლულოდ დამიბრუ-ნე ის საშუალება, რომელმაც შეძლება და შნო მოგცა სხვას აამო, სხვას ემსა-ხურო, ჩემი სხვისას ამჯობინო და ამით მსუქანი ლუკმა იქონიო.

აი, ამ მოსაზრების გამო, ზემო აღნი-შნულ მახინჯ ფაქტების მნახველს და გამგონს მომივიდა ასეთი აზრი: ყოველი უმაღლეს სასწავლებელში საზოგადო ხარჯზე აღზრდილი ქართველი მოვალე უნდა იყოს ამ საზოგადოებისა იმ ფუ-ლით, რამდენიც მიუნდა მის აღზრდას უმაღლეს სასწავლებელში. ამიტომ მან უეჭველად უნდა დაუბრუნოს ნაწილ-ნა-წილად ეს ფული საზოგადოებას იმ დღი-დან, რა დღიდანაც სამსახურს ან სხვა რამ საშუალებას იშოვნის საცხოვრებლად. ასეთი გადასახადები დაუშრეტელ წყაროდ გაუხდება იმ საზოგადო დაწესებულებას, რომელსაც დაევალება მათი მოკრეფა-მოხმარება. გადახდევინება ამ ფულისა უნდა დაევალოს „წ. კ. გამავრცელებელ სა-ზოგადოებას“. რათა იურიდიული უფლე-ბაც ჰქონდეს ამ დაწესებულებას მოსთხო-ვოს კურს დამთავრებულებს და ცხოვრე-ბაში შესულ სტიპენდიანტებს მათზე და-ხარჯული ფული, სტიპენდიების გამცემ პირთ და საზოგადოებებს უნდა წინადა-დება მიეცეთ შემდეგში მოიქცნენ ასე: ყოველ სტიპენდიანტს უნდა ჩამოართონ ხოლმე ხელ-წერილი იმისა, რომ იგი მოვალეა მთელი ჯამი მასზე დახარჯულ ფულისა სწავლის დამთავრების და სა-ცხოვრებელ წყაროს აღმოჩენის შემდეგ გადაუხადოს „წ. კ. გამავრცელებელ საზო-გადოებას“. ეს ხელწერილები უნდა გაუ-გზავნონ ხოლმე ამ დაწესებულებას, რო-მელიც ყურს უგდებს კურს დამთავრე-ბულთ და, ვინც ნებით არ იკისრებს ნა-წილ-ნაწილ ფულის გადახდას, სამარ-თლით მოსთხოვოს. დარწმუნებული ვარ, რომ საჩივრად გაჰხდიან საქმე მხოლოდ ისეთი პირნი, რომელნიც დაივიწყებენ ყოველ ადამიანურ და მამულიშვილურ მოვალეობას და რომელთაც თავიანთ თა-ვის გარდა ქვეყანაზე არაფერი არ მია-ჩნიათ. ამისთანების დაზოგვა კი შეცდომა იქნება და ჩაჰომავლობასთან შეუნდობე-ლი ცოდვა.

რადგან „წ. კ. გ. საზოგადოების“ მი-ზანია დაბალ სწავლის გავრცელება ჩვენს ერში, ამიტომ დანიშნულება ამ ფულისა ეს დაბალი სწავლა-განათლება უნდა იყოს.

**ლ. მაგარელი.**

—

P. S. თუ ეს ჩემი აზრი განხორციელ-დება, მაშინ ამედია, რომ ის სტიპენდიან-ტებიც, რომელნიც დღევანდლამდე სარ-გებლობდნენ საზოგადოებ ისდახმარებით, მოვალედ ჩასთვლიან თავიანთ თავს და ასეთსავე ხელ-წერილობით ვალდებულო-ბას გამოუგზავნიან „წ. კ. გ. ს.“. **ლ. მ.**

## ვის ხელში ვართ სოფლელები?!

———

ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ამ სასტიკ რეაქციის დროს სოფლად არა სცხოვრობს და არ უცქერის სოფლელთა გაჭირვებულ მდგომარეობას. ისედაც ყველაფერს მოკლებული და დანატრებუ-ლი სოფლელნი, უფრო რეაქციონერების გამო, უფრო ვნიორწყლდებით და დედა-მიწასთან ვსწორდებით. რა უბედურებას იტყვით, რომ სოფლად არ შეჰხვდეთ?! შიმშილს, წყურვილს, დარბევას, დაჭე-რას, გადასახლებას, გამათრახებას და ათას სხვას... თუ მარჯვედ არა ხართ, რაც უნდა ალალ-მართალი კაცი იყოთ, სწ-ქვოა, რომ დაუჭერავი გადარჩეთ. დანა-შაულად ზოგიერთა [illegible] საკმაოა შლაპა გეხუროთ ან პიჯაკი გე-ცვათ, ნამეტნავად [illegible] ციხე და თქვენი ჯანი! სოფლის რეაქ-ციონერები გაზეთის კითხვასაც თვალს ადევნებენ და თუ გაზეთში ისეთი რამ წაიკითხეთ, რომ უმწეო გლეხობას ცრუ-ტად გულს ეფონა, თქვენისვე ფეხით უნდა მიბძანდეთ სატუსაღოში. ილია ჭავ-ჭავაძის სახსოვრად გამოცემულმა პატარა წიგნაკებმა და იმისმა ბიოგრაფიებმა ხომ სულ ცეცხლზედ წყალი დაგვასხეს. ამ წიგნაკებიდან სახალხოდ ამოკითხულ-მა ნაწყვეტმა ლექსებმა ბევრს არგუნა დატუსაღება.

დიაღ, სოფლელები სტრაჟნიკ-მამასახ-ლისების ხელში ვართ და ეს ვაჟბატონები თავისუფლად პარპაშობენ ჩვენზედ. მათ-თვის განათლებული, გაუნათლებული, ერი, ბერი სულ ერთია, ოღონდაც ჰავადი ნუ იქნება. მათთვის არ არსე-ბობს არც სინდისი და არც კანონი.

ზემო ქართლის სოფელ ალში გიორ-გი მაჭარაშვილის თაოსნობით ილია ჭავ-ჭავაძის სახსოვრად გაიმართა სალიტერა-ტურო საბავშვო საღამო. დაესწრო სო-ფლის გლეხობა—ქალი და კაცი. საათის შვიდის ნახევარი იყო, რომ მშობელნი სიხარულით უსმენდნენ აქაურ სკოლის მოს-წავლეთა, თავიანთ შვილების მიერ წაკით-ხულ ჭავჭავაძის ლექსებს და სიმღერას. ჭავ-ჭავაძის ბიოგრაფიას კითხულობდა გ. მა-ჭარაშვილი, ბევრი აღარა აკლდა-რა, რომ მივიდა „ქართლის დედის“ შემდეგ სტრო-ფებთან:

საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
ჩააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას...

ამ დროს იქ დამსწრე სტრაჟნიკი, მა-მასახლისის ძმა, პეტრე ჯიოშვილი მი-ვიდა მაჭარაშვილთან, ხელიდან წაართვა ფურცლები, შეაწყვეტინა კითხვა და ხმა ამოუღებლივ წავიდა და წაიღო ქაღალ-დები. ზოგი შეშინდა, სროლა არა ატყდეს რამე და დაიმალა, ზოგი იქ დარ-ჩა. ამის შემდეგ თუმცა საღამო ისევ განაგრძეს დიმიტრი თავდადებულის სუ-რათების ჩვენებით, მაგრამ ძალიან დარ-დიანად და უფერულად. მეორე დღეს თვით მამასახლისმა ჯიოშვილმა დაადგინა ოქმი, რომ ჩემს არ ყოფნის დროს, გა-მართეს ყრილობა, ვითომ ილია ჭავჭავა-ძის სახსოვრად, ნამდვილად აგიტაციას ეწეოდნენ ხალხში მავნე [illegible] სასარგებლოდაო. თვით მაჭარაშვილი და ნებიერიძე ჩაფრების თანხლებით წარედ-გინა გორის მაზრის უფროსს. კარგია კი-დევ, მაზრის უფროსმა საქმე უყურადღე-ბოდ დასტოვა და დატუსაღებულნი გაან-თავისუფლა.

აი, ვის ხელში და რა დღეში ვართ სოფლელნი! **მგზავრი.**

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

—

ამასთან გიგზავნით ოთხ თუმანსა და ორ მანეთს სოფ. ახმეტაში ჩემ მიერ შეგრო-ვილს ილიას ფონდის სასარგებლოდ.

შემომწირველთა სია: მიხეილ ნასიძე 3 მ., კნ. ნინო ჩოლოყაშვილი 3 მ., ალ. მათურე-ლი 3 მ., მღ. გიორგი ინაშვილი 1 მ. (ერთდროულად და 1% ყოველ თვიურ ჯა-მაგირისა), თ. გიორგი მაყაშვილი 4 მ., მ. მირზაშვილი 5 მ., ივანე თურქისთაშვი-ლი 1 მ., ილარიონ ჩიკვაიძე 1 მ., გ. ფო-ცხვერაშვილი 5 მ., ელენე დუგაშვილი 1 მ., ვახტანგ ბარათაშვილი 5 მ., ისაკ სისაუ-რი 3 მ., გიო მურთაზაშვილი 1 მ., სოლო-მონ ჯანდიერი 1 მ., იაკობ ბეჩაიძე 1 მ., მი-ხეილ მამიაშვილი 50 კ., განო ქაძე 1 მ., ...ძე 1 მ., მ. ჯანდიერი 1 მ., ე. რ. ჩოლოყაშვილი 50 კ. სულ 42 მანეთი.

**მიხეილ ნასიძე.**

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**კახეთი.** კარგის ნერვების პატრონი უნდა იყოს კაცი, რომ სოფლელთა ცხოვრების სი-დუხჭირის ყურება შესძლოს. სხვა დროს სასიამოვნო ყოფილა სოფლად ყოფნა. ეხლა-კი სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. რამდენიმე დღე შემთხვევით მომიხდა ყო-ფნა სხვა და სხვა სოფელში. ყველგან გლეხი-კაცის უიმედო გამომეტყველება გიკლავს გულს. ან რა აქვს გასახარი გა-ჭირვებულ გლეხს, როცა დღეს სიღარიბე ქრო-ნიკულად გასჯდომია ძვალსა და რბილში იმის ოჯახს და არც ხვალ მოელის სიკე-თეს.

წელს გვალვის და სხვა მიზეზით პური ნაკლებად მოვიდა, არც სიმინდის მოსავალი იყო სანაქებო, ისე რომ გამოღმა მხარეს ბევრ სოფელში შუა ზამთარშივე შემოაკლდებათ წლის სარჩო. პურის ფასმა ეხლავე აიწია. კოდი ე. ი. სამი ფუთი სორბალი, 5—6 მან. იყიდება, სიმინდი 3—4 მან. ასეთი ფასი ჯერ არა ყოფილა, მაგრამ ვისა აქვს გასასყიდი? გაღმა მხარეს, მართალია, კარგი მოსავალი იყო, მაგრამ ქიზიყის დამშევამ დიდად იმოქმედა. აქეთ მხარეს ბევრი ქიზიყელი ამოვიდა საქონლით თავის სარჩენად. ამას გარდა პურის სასყიდლადაც აქეთკენ მოდიან და თავის თავად იწევს მისი ფასი.

ღვინის მოსავლით, მართალია, ყველგან კმაყოფილნი არიან, მაგრამ ვაი ამისთანა მოსავალს! ნეტა ისევ ცოტა მოსულიყო და ფასი ჰქონოდაო, ჩივიან გლეხები. ფასი იქით იყოს, რომ იყიდებოდეს, თორემ ბევრი გაჭირვებული მეურნე საპალნეს (32 ჩაფს) სამ თუმნად იძლევა, ესე იგი ჩაფს მანეთზე ნაკლებ, რაც მაზიამანის და გოგირდის ღირებულებას ვერც-კი აუყენებს. უბედურება ის არის, რომ ასეთ ფასშიც მყიდველი არ არის. ვინც საუფლისწულო მამულების ან ქალაქს ახლოა, კიდევ არაფერი, ცოტა იოლად მიდის; თავისი მამული მიუტოვებია და სხვაგან მუშაობს, მაგრამ ბევრი სოფელი ამასაც მოკლებულია. ასეთ გარემოებაში მყოფნი, რადაც იმედიანად გვკითხავიან: „კაცები რომ ამოვარჩევინეს და წავიდნენ, რას აკეთებენ? იქნება იქიდან გვეშველოს რამეო. როცა უხსნი სათათბიროს შედგენილობას და მის მოქმედებას, უფრო სასოწარკვეთილებაში ვარდებიან...

სოფლის საერთო მდგომარეობას ხმირად არღვევს მაყრიონთა სიმღერა. თუმცა მარხვაა, მაგრამ ბევრგან ქორწინებს ეხლა იხდიან. ეს თვეში გავრცელებული კასების ნაყოფი გახლავთ. ჯვარი საჩქაროდ დაუწერიათ კასიდან ფულის მიღების გულისთვის, მაშინ პატარძლები ისევ თავ-თავიანთ სახლებში დაუნარჩუნებიათ და ეხლა მიჰყავთ, თუმცა ფული მაინც ვერ მიუღიათ და ორივე მხარე ზედ-მეტად დავალიანებულა—კიდეც. როგორც გადმოგვცეს, ზოგს თავის ჯვარდაწერილ პატარძლისთვის თავი დაუნებებია ამისავე მიზეზით და აღარ მიჰყავს...

ზამთარს ჯერ-ჯერობით ვერ დავემდურებით. მზიანი დღეები დაიჭირა, საქონელი გარედ მიდის იოლად, თორემ საქონლის საკვები ძლიერ ნაკლებად მოვიდა გვალვის მიზეზით. ბევრგან ჰხნავენ და ჰფარცხვენ კიდეც. ამინდი ხელს უწყობს გუთნის დედას. ეს არის ნათესს არ არგებს ასეთი ყუდროება და თუ ნამი არ მოესწრო, ხნულში ხორბალი თაგვის და ფრინვლის კერძი გახდება.

**ბუღი.**

## სასამართლო

**ჭელიძის საქმე.**

13 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნულია საქმე ვასილ ჭელიძისა. აი, რას გადმოგვცემს საპრალმდებლო ოქმი ამ საქმის შესახებ.

1907 წ. 30 მაისს გაიფიცნენ გაზეთ „გოლოს კავკაზის“ ასოთ ამწყობნი და მოითხოვეს ჯამაგირების მომატება. სტამბისა და რედაქციის გამგემ ფილიპოვმა უარი უთხრა გაფიცულებს და ადესიდან იქაურ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ დახმარებით გამოიწერა ახალი ამწყობები. მეორე დღიდანვე ახალ მოსულებსა და ფილიპოვს დრო გამოშვებით მისდიოდათ პროკლამაციები და წერილები სოც. რევოლუციონერთა ორგანიზაციის ბეჭდით. წერილებში ნათქვამი იყო, რომ ფილიპოვს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა „ციურნოსის“ (?) ცენტრალურმა კომიტეტმა. ასეთი წერილი და პროკლამაცია ფილიპოვმა ბევრი მიიღო, მაგრამ არ შეუნახია. მხოლოდ ერთი პროკლამაცია გადასცა მან ბოქაულს ლევაშევს. ამ პროკლამაციაში ნათქვამია, რომ ახალ-მოსულ ამწყობებს სიკვდილი მოელით, თუ გაფიცულების მაგივრად დაიწყეს მუშაობაო.

ერთი თვის შემდეგ ფილიპოვმა გაიგო, რომ სამი დღეა რაც მას სამი კაცი დასდევს მოსაკლავად. მას დაწვრილებით აუწერეს ორი კაცის გარეგნობა და დაახლოვებით—ერთისა. ეს ამბავი ფილიპოვმა პოლიციას შეატყობინა. ბოქაულმა ლევაშევმა გადაცმული პოლიციელები მიუჩინა ფილიპოვს. ერთხელ საღამოს 5 საათზე ფილიპოვი შინიდან რედაქციაში მიდიოდა. სასამართლოსთან მან შენიშნა ორი კაცი. ერთმა შორიდან ქუდი მოიხადა და ამით მეორეს ნიშანი მისცა. ერთი კაცი ფილიპოვს უკან გამოედევნა, მეორე კი წინ გაუძღვა და წამ და უწუმ უკან იხედებოდა. ცოტა ხნის შემდეგ წინ მიმავალი მობრუნდა და გაჩერდა. ფილიპოვს უკანიდან მოესმა რაღაც ჩხაკუნი და მისვდა, რომ უცნობი რევოლვერში პატრონებს ალაგებდა. ფილიპოვი განზე გადგა, უკან მიმავალმა კი გაუსწრო და მობრუნდა. ფილიპოვმა აათვალ-ჩაათვალიერა უცნობი და აწერილობით იცნო ის კაცი, რომელიც წინა დღეებში აუწერეს. ფილიპოვმა გადაცმულ პოლიციელს მიუთითა უცნობზე. პოლიციელები შემოეხვივნენ უცნობს, დააპატიმრეს იგი და რევოლვერი წაართვეს. უცნობმა რამდენჯერმე წამოიძახა: «ფრთხილად, რევოლვერი ფეხზე შეყენებულიაო». რევოლვერი ბრაუნინგის სისტემისა იყო, გატენილი იყო რვა პატრონით და ერთი პატრონა ლულაში იდო. უცნობი გამოდგა ვასილ ჭელიძე. მისი ამხანაგი მიიმალა. მან განაცხადა, რომ იმ დროს ვერაზე მივდიოდი პატრონებისთვის. რევოლვერიც იმ დღეს ვიყიდეო.

## ქართულის სიმღერის ხოროს შესახებ

(წერილი რედაქცია ს მიმა-თ).

ამ ერთის თვის წინად მოსკოვში კვლავ განდევნურად გამართეს ქართული სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. ამ საღამოს დიდი დაბრკოლებანი გადალახეს ამ მხრივ, რომ გამოჩენილმა არტისტებმა, წინააღმდეგ თავიანთ სურვილისა და აღთქმისა, მონაწილეობაზე უარი განუცხადებიათ. საღამოს გამმართველნი გაჭირვებიდან გამოიყვანა ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა, რომელსაც მოკლე ხნის განმავლობაში შეუდგენია მომღერალთა მრავალ-რიცხოვანი გუნდი, ორას-სამოცი კაცისაგან, ჩინებულად მოუმზადებია და ისე საუცხოოდ უმღერებია ქართული ეროვნული ხმები, რომ საღამოს დამსწრე საზოგადოება დიდს აღტაცებაში მოუყვანია...

როგორც სხვა და სხვა გაზეთის კორესპონდენტები გვარწმუნებენ, ფოცხვერაშვილი არა თუ კარგი მომღერალია და ჩინებული ორგანიზატორი, დირიჟორი, არამედ ნიჭიერი კომპოზიტორიც. მას ესაჭიროება მხოლოდ მუსიკალურ განათლების დამთავრება, რომლისაც წინ ედობები მისი სიღარიბე. სულ ოთხი თუმნიათ თვეში საჭირო, რომ ამ ნიჭიერმა ქართველმა დაამთავროს განათლება და სრულიად მოემზადოს თავის საყვარელ საქმისთვისაო.

სათვალი ამბავია. ჩვენებური ქვეყ-მოქმედები სტიპენდიანტებად ზრდიან არა ერთსა და ორს უნიჭოს, ზარმაცსა და გამოუსადეგარ ახალ გაზრდას, და ნიჭიერი, საზოგადოებრივი მისწრაფებით გამსჭვალული უმაწვილი ქართველები კი მოკლებულნი არიან ამ მზრუნველობასა და ვერ დასწავლებიან, სიღარიბის გამო, განათლების ნაკლულს. ჩვენი ქვეყ-მოქმედნი, რასაკვირველია, მადლსა სთესენ, დიდს მადლს, მაგრამ ამ მადლისათვის მარილი ვერ მოუყრიათ, და ვერ მოუყრიათ მხოლოდ იმის გამო, რომ ორგანიზაცია არ გვიყარგათ. ერთს-ორს კაცს, თუნდაც ძალიან სინიდისიერსაც, არ შეუძლიან კეთილად და სამართლიანად აწარმოოს იმისთანა რთული საქმე, როგორიც განაწილებაა სტიპენდიებისა. აქ საჭიროა მთელი კომიტეტი, ექვსი შვიდი კაცისაგან შემდგარი. მხოლოდ ამისთანა კომიტეტს შეუძლიან შეკრიბოს ნამდვილი ცნობები შესახებ კანდიდატების სიღარიბისა, მათის ნიჭისა, მათის მისწრაფებისა, ხასიათისა, შრომის-მოყვარეობისა და მხოლოდ ღირსეულთ დაუნიშნოს შემწეობა. მხოლოდ ამისთანა კომიტეტი იხსნის ჩვენ ქვეყ მოქმედებს იმ სათაკილო მდგომარეობიდან, რომლის წყალობითაც მათ პურთან ერთად მიჰყავთ საზოგადოებისათვის ღვარძლიც უზრდიან მას მამულიშვილებთან ერთად ეგოისტებს, ნიჭიერებთან—უნიჭოებს, მხნეებთან და მშრომლებთან—ზარმაცებს და მცონარებს.

მაგრამ ეს რეორგანიზაცია მომავლის საქმეა, და ამას ბ-ნი ფოცხვერაშვილი ვერ დაუცდის. უფრო მოკლე და საიმედო გზა ასეთია: მოსკოველმა ქართველებმა, თუნდა, მაგალითად, პროფესორმა ხახანაშვილმა, უნდა გამოუგზავნონ ტფილისის თავად აზნაურობას და ბ ნს სარაჯიშვილს დასაბუთებული მოხსენება შესახებ ფოცხვერაშვილისა, და იშუამდგომლონ, რათა დაუნიშნოს ამ ნიჭიერს და მომავლიანს ქართველს განსაზღვრული და საკმარისი სტიპენდია.

უადგილოდ არა ვსთვლი ამას დავუმატო არიოდე სიტყვა სიმღერის მნიშვნელობის შესახებ ტოკვილმა სთქვა: ყველაზე დემოკრატიული სიამოვნება სილამაზეაო. რათა სილამაზით დასტკბეს ადამიანი, ამისათვის საჭიროა მხოლოდ სადი თვალები, და სხვა არაფერიო. ლამაზის ქალის მზერითო, მაგალითად, ერთნაირად სტკბება როგორც პირველი სწავლული, ისე უვიცი გლეხი და მუშაო. ესევე უნდა ითქვას სიმღერაზედაც. აქაც საჭიროა მხოლოდ ის საყოველთაო გრძნობა, რომელსაც ყურთა სმენა ჰქვიან. კარგის სიმღერით ერთნაირად სტკბებიან: ქალნიც, კაცნიც, პატარებიც, დიდებიც, განათლებულნიც, გაუნათლებელნიც. შინაურნიც და გარეულნიც, ჩვენებურნიც და უცხოელნიც. სილამაზესავით სიმღერაც მეტად სიმპატიური ინტერნაციონალური მოვლენაა. რასაკვირველია, ხალხური სიმღერა უფრო ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს იმის შემქმნელს ხალხზე, ვიდრე უცხოზე. იგი უძლიერებს სიხარულს, უნელებს სიმწუხარეს, უქარვებს დარდებს, ავსებს მხნეობით, ფრთებს ასხამს ყოველს კარგს მისწრაფებას, აძლიერებს ეროვნულს გრძნობას, აერთებს ყველა წოდებას, ყველა კლასს, ჰქმნის ერთეულს ერსა...

სწორედ ამის გამო ნაციონალურს სიმღერას, ეროვნულს ხოროს დიდად აფასებდნენ და აფასებენ ყველა ერნი, მეტადრე იმისთანანი, რომელნიც ქართველებსავით მორჩილების უღელს ქვეშ კვნესოდნენ და კვნესიან ჩეხელებს, პოლონელებს, ირლანდიელებს და სხვა დამონავებულ ერებს უდიდესი სამსახური გაუწიეს ნაციონალურმა სიმღერამ, ნაციონალურმა ხოროებმა... ჩვენც ამგვარსავე სიკეთეს შეგვძლენის ქართული ეროვნული სიმღერა, ქართული ნაციონალური ხორო. შეგვძლენის იმის გამო, რომ ამ მხრივ ქართველი ერი სხვა ერებს არაფრით არ ჩამორჩება. და აი ამისი საბუთიც. ოცდა ხუთის წლის წინად პეტერბურგიდან მოვიდა საქართველოში სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების სარევიზიოდ ბ-ნი მირობოლსკი, რომელიც ნიჭიერი და გამოჩენილი პედაგოგიც იყო და ამავე დროს მუსიკის სფერაში დახელოვნებული. მას, სხვათა შორის, დაბეჭდილი ჰქონდა მსოფლიო მუსიკის შესახებ კაპიტალური თხზულება, რომელმაც მაშინ საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. აი, ამ მიროპოლსკიმ ისარგებლა თავისის უფლებით საქართველოში და გაეცნო ჩვენს სახალხო სიმღერებს. გაეცნო და აღტაცებაში მოვიდა. მას აღებდა სიმრავლე, სხვა და სხვა ფერობა და ჰარმონია ჩვენებურ ხალხურ სიმღერებისა. საკვირველიაო, ამბობდა, რომ ქართველს ხალხს ყველა სამუშაოსათვის, ყველა საქმისათვის და ყველა გასართობისათვის შექმნილი აქვს განსაკუთრებული ჰარმონიული ჰანგი, სიმღერა, და ამ ჰანგს მღერის არა მარტო ერთი მომღერალი, როგორც აზიაში, არამედ მთელი გუნდი, როგორც ევროპაშიო. ჩვენმა სახალხო სიმღერებმა ჩინებული რეკომენდაცია გაუკეთეს ქართველს ერს მიროპოლსკის თვალში, და ერთის მხრივ ამ რეკომენდაციით აიხსნება ის, რომ მიროპოლსკიმ ჩინებული აზრი წარადგინა ქართველ პედაგოგებზე და მოითხოვა, რომ მათ უაღრესობა მონიჭებოდათ რუსების წინაშე თანამდებობაში გამწესების დროსა; მოითხოვა აგრეთვე ქართულის კათედრის დაარსება სემინარიაში ფართო საფუძველზე, სრულის პროგრამით.

დიახ, ქართველს ხალხს აქვს საცოდაური ეროვნული ჰანგები, სიმღერები, საგალობლები. რათა ეს სიმდიდრე მკვდარ თანხად არ დარჩეს, რათა მან იმოქმედოს, წინ წავიდეს, სისრულე შეიმატოს, გახდეს ინტენსიურის სიამოვნების წყაროდ ქართველთათვის და უცხოელების თვალშიც სახელი გაგვიკეთოს, საჭიროა, უკიდურესად საჭიროა ქართული დიდი ნაციონალური ხორო.

და რათა ამისთანა ხოროს დაარსება, წარმატება და აყვავება შესაძლოდ გავხადოთ ახლო მომავალში, ჩვენი მეცენატება მოვალენი არიან ხელი გაუმართონ იმისთანა ყმაწვილებს, როგორიც არის ბ-ნი ფოცხვერაშვილი, დაჯილდოვებული ნამდვილ სამუსიკო ნიჭით. **იაკობ გოგებაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ბებალიშვილი.**


# განცხადებანი



1—2 მან. აილებს მსურველი დღეში.

## საჭირავა

**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верiйскiй спускъ д 15 и 5.** (100—71—90)

## ხიმშიაშვილის და დიასამიძის

მამულში საბურთალოსთან, ვერაზე იყიდება მიწები, დაყოფილი ნაჭრებად 24, 40 და 70 კაპ. საჟენი წლის გადახდის ვადით.

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურის სახლი, **№ 153 მაჭავარიანი, გელოვანი.** (10—438—7)

მასწავლებელი

## ქ. ლეჟავა

იყვანენ მოწაფეებს მოსამზადებლად, ამერიკანელი ... ... თავიანთ სახლში, ხსე თავისთან, აგრეთვე იღებენ პანსიონერებად ან ნახევარ პანსიონერებად.

**ადრესი:** ავლაბარი, მარტყოფისა და აბსერვატორიის ქუჩების კუთხეში. დილით 8—2 საათამდის. (10—9)



ყველაზე გაუმჯობესებული ნავთით გასაღუებელი

**ს ა ნ ა თ ი**

## „პრაქტიკუსი“

უბრალო და მოხერხებული.

ენთება საუცხოვო ძალით და ამასთან ხმაურობა არ იცის. დიდი ეკონომია: 1 გირ. ნავთი ანთია 8 საათს. ენთება მშვილდად, სწრაფად ანათებს. უდგება თითქმის ყველა ჩვეულებრივ ლამფას. კომპლექტი თავის შუშით ღირს 4 მან. იყიდება კ. ბობილევთან, ტფილისი, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (3—ხალ.—3)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილერის თხზულება

## ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ქიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზე (№ 11) ს. ზერძნიშვილს ვინც ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—17)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

აქციონერთა საზოგადოება „გრამოფონი“

**ტფილისის განყოფილება**

**გოლოვინის პროსპექტი, № 9.**



გრამოფონი პირველია, როგორც

მოდისა და თან საუკეთესო საჩუქარი,

რისთვისაც მზადა გვაქვს მომავალი

## შობის დღესასწაულისათვის

ჩვენის წარმოების საქონელი და ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ საზოგადოების მაღაზიაში: გოლოვინის პროსპექტი, № 9 და დარწმუნდნენ, რომ გვაქვს დიდ-ძალი **ახლად გამოშვებული აპარატები, უკანასკნელ კონსტრუქციისა, მკვიდრის მექანისმით** სულ ახალი მოდელებისა და ყოველგვარ ასორტიმენტით. **ფ ა ს ე ბ ი** გადაჭრილია რუსეთისა, კავკასიისა და კასპიის იქითა მხრისათვის. ვინც სხვა ფირმის ფირფიტებს ყიდულობს, ზარალობს. მრავალ წელთ აგანმავლობაში შეძენილ რენომეს შესარჩენად ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს არა თუ საუკეთესო საქონელი მივაწოდოთ საზოგადოებას, არამედ, **მოლაპარაკე მაშინის** მოყვარულთა და მეგობართა ინტერესების დასაცველად, უნდა გავაფრთხილოთ კიდეც, რომ ყალბი მაშინები არ შეიძინონ სხვა ფირმებისა, მაგალითად ახალ საზოგადოების მელიდოფონისა. დიდი განსხვავება მელიდოფონის და ჩვენის ფირმის ფირფიტებ შორის ყველასთვის თვალსაჩინოა. სიტყვა **„გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“** შემკრებელობითი სახელი კი არ არის, არამედ საკუთარი **პატენტიანი** სახელია ჩვენის ფირმის საქონლისა. სიყალბის თავიდან ასაცილებლად ვაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმას, რომ ჩვენ ნაწარმოებ საქონელს აქვს ჩვენი საფაბრიკო ნიშანი.




გრამოფონი ოჯახში არა მარტო გამრთობია, არამედ აღმზრდელიც. უნდა ემებდეთ **ღირსებას** და არა **სიიაფეს.**

მსურველებს შეუძლიანთ მობრძანდნენ მაღაზიაში (გოლოვ., 9) გრამოფონების გამოსაცდელად. კატალოგები და ფირფიტების სია უფასოდ. გვაქვს ფირფიტები სომხურ, ქართულ, სპარსულ-თათრულ და სხვა ენებზე.

საგანგებო ყურადღებას იქცევს განთქმულ მომღერლების ფირფიტებში: **ადელინა პატისა, მელბასი, ბორონატის, ცელესტინა ბოისენისა, ზემბრიხის, არნოლდსონის, კურცის, ფიგნერის, ვიალცევის, კარუზოს, რუფოს, ბატისტინის, შალიაპინის, სობინოვის და სხვათა.** (15—768—3)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.